



2333/1-6/22 2 16032022

2333/1-6/22

16-03-2022

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ომარ ტაკიძეს

ბატონო ომარ,

მოგახსენებთ, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1² პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, განსაზღვროს შესაბამის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

გყავთ თუ არა მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ პოზიციაზე განსაზღვრული პირთან რა ტიპის ხელშეკრულებაა გაფორმებული და რომელი რანგის საჯარო მოსამსახურეა ის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
შუახევის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
A U T O N O M O U S R E P U B L I C O F A J A R A
C I T Y H A L L O F S H U A K H E V I M U N I C I P A L I T Y



წერილის ნომერი: 100-1002207713
თარიღი: 18/03/2022
პინი: 8703

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი, მიმდინარე წლის 16 მარტის #2333/1-6/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია გენდერულ საკითხებში მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული. "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დანიშნული პირი შერჩეულია კონკურსის წესით, დანიშნულია მერის ბრძანებით და მასთან შრომითი ან ადმინისტრაციული ხელშეკრულება დადებული არ არის.

პატივისცემით,

ომარ ტაკიძე

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





2338/1-6/22 2 16032022



2338/1-6/22
16-03-2022

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გიორგი ნემსაძეს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1² პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, განსაზღვროს შესაბამის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

გყავთ თუ არა მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ პოზიციაზე განსაზღვრული პირთან რა ტიპის ხელშეკრულებაა გაფორმებული და რომელი რანგის საჯარო მოსამსახურეა ის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ც ა გ ე რ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი ა
G E O R G I A
T S A G E R I M U N I C I P A L I T Y T O W N H A L L



წერილის ნომერი: 80-802207613
თარიღი: 17/03/2022
პინი: 8976

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ: ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი 2022 წლის 16 მარტის N 2338/1-6/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეა III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, იურისტი რომელსაც მერის ბრძანებით აქვს აღნიშნული დავალება. იგი შტატიანი პროფესიური მოხელეა და ხელშეკრულება მასთან არ არის გაფორმებული.

პატივისცემით,

გიორგი ნემსაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





2317/1-6/22 2 16032022

2317/1-6/22

16-03-2022

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

მოგახსენებთ, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1² პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, განსაზღვროს შესაბამის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

გყავთ თუ არა მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ პოზიციაზე განსაზღვრული პირთან რა ტიპის ხელშეკრულებაა გაფორმებული და რომელი რანგის საჯარო მოსამსახურეა ის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 34-3422076199
თარიღი: 17/03/2022
პინი: 4298

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

პარლამენტის წევრს
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი 16.03.2022 წლის N2317/1-6/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 29 იანვრის Nკ-219 ბრძანების საფუძველზე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

პატივისცემით,

დimitრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





2352/1-6/22 2 16032022

2352/1-6/22
16-03-2022

ქალაქ ბათუმის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

მოგახსენებთ, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1² პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, განსაზღვროს შესაბამის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

გყავთ თუ არა მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ პოზიციაზე განსაზღვრული პირთან რა ტიპის ხელშეკრულებაა გაფორმებული და რომელი რანგის საჯარო მოსამსახურეა ის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY



წერილის ნომერი: 14-1422077329
თარიღი: 18/03/2022
პინი: 6930

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

მიმდინარე წლის 16 მარტის № 2352/1-622 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 29 იანვრის № 422 ბრძანებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

დანართი თან ერთვის

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



„დამტკიცებულია“
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2018 წლის ____ იანვრის
№ _____ ბრძანებით

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა

ორგანიზაცია: მუნიციპალიტეტის მერია.

თანამდებობა: გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი პირი.

უშუალო დაქვემდებარებაში: მუნიციპალიტეტის მერი.

თანამდებობის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მიერ ეროვნული და საერთაშორისო ვალდებულებებისა და რეკომენდაციების განხორციელების ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის ვალდებულება

აღნიშნულ პირს მერიის თანამშრომლები დროულად აწვდიან მისი ამოცანების შესრულებისათვის საჭირო ყველა ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მის ჩართულობას მიმდინარე პროცესებში.

ფუნქციები (მოვალეობები)

• მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის საკითხების შესწავლა, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შესაბამის წინადადებათა მომზადება და განხორციელება; შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება;

• ამავე საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

• მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადება; დოკუმენტების დახვეწის მიზნით პროცესების მართვა და შემდგომში დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია. შესრულებული საქმიანობის ანგარიშის წარდგენა მერისათვის და საკრებულოსათვის;

• მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის თანამონაწილეობითი პროცესების ინიცირება; სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა;

• მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადება (განსახილველი საკითხები, რეკომენდაციების პროექტები და ა.შ.), გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე განხილული წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი პირებისთვის;

• მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისათვის და მოქალაქეებისათვის კონსულტაციების გაწევა გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით;

• მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული იმ პოლიტიკის დოკუმენტების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამების და გეგმების სამართლებრივი აქტებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანალიზი, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია;

• დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და ასევე ამავე მუნიციპალიტეტში სხვა ორგანიზაციების მიერ აღნიშნულ საკითხებზე განხორციელებული ღონისძიებ-

ბის შესახებ საერთო ანგარიშის მომზადება, სადაც იდენტიფიცირებული იქნება ღონისძიებები და შემსრულებელი პირები;

- მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გენდერული სტატისტიკის წარმოება;

- საკონკურსო კომისიის საქმიანობაში ჩართულობა, მუნიციპალიტეტის ორგანოებში საჯარო სამსახურში მიღების და დაწინაურების პროცესში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა, ქალთა და მამაკაცთა არსებითი თანასწორობის მიღწევის მიზნით, სამსახურებრივი დაწინაურების პროცესში ქალთა ხელშეწყობა;

- თანამშრომლობა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი საბჭოსთან, სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათთვის შესაბამისი ინფორმაციების და ანგარიშების მიწოდება.



2296/1-6/22 2 16032022

2296/1-6/22

16-03-2022

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ოთარ არბოლიშვილს

ბატონო ოთარ,

მოგახსენებთ, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1² პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, განსაზღვროს შესაბამის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

გყავთ თუ არა მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ პოზიციაზე განსაზღვრული პირთან რა ტიპის ხელშეკრულებაა გაფორმებული და რომელი რანგის საჯარო მოსამსახურეა ის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



ბორჯომის მუნიციპალიტეტი
MUNICIPALITY OF BORJOMI



წერილის ნომერი: 16-16220774
თარიღი: 18/03/2022
პინი: 1677

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი 2022 წლის 16 მარტის 2296/1-6/22 (შემ.02-162207576-16) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის“ შესახებ მე-13 მუხლის „12“ პრიმა მუხლის შესაბამისად, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით განსაზღვრულია გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, რომელიც არის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის, იურიდიული კონსულტირებისა და სასამართლო საქმეთა წარმოების სამსახურის განყოფილების, - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.

პატივისცემით,

ოთარ არბოლიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

